

და ნაგებობების პროექტის, სარეაბილიტაციო სამუშაო პროგრამის, ტრასის შექმნის მოთხოვნების, ხარჯთაღრიცხვების და სხვადასხვა გაანგარიშებების ჩათვლით. კონსულტანტი ასევე ვალდებულია წარმოადგინოს გრუნტის და მასალების ანგარიში, რომელშიც შევა კარიერის მასალების წყაროების ადგილმდებარეობა და მახასიათებლები. საპროექტო ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია მოიცავს შემდეგ მასალებს:

- განმარტებით ბარათს;
- კონსტრუქციულ და სხვა აუცილებელ ანგარიშებს;
- არქიტექტურულ-სამშენებლო ნაწილი;
- დეტალურ საინჟინრო ნაწილს და გრაფიკებს;
- ტექნიკური სპეციფიკაციებს და სამუშაოთა მოცულობებს;
- მშენებლობის ორგანიზაციის პროგრამას და კალენდარულ გრაფიკს, საჭირო აღჭურვილობას;
- პროექტის დეტალურ რეზიუმეს;
- ხარჯთაღრიცხვებს.

31. დეტალური საპროექტო ნახაზები მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით:

- ადგილმდებარეობის გეგმა და მიმდებარე ტერიტორიის რუკა;
- დეტალური არქიტექტურულ-სამშენებლო ნახაზები;
- სანაპიროს, ჭრილების და ყრილების და ხიდის ნახაზები, გენერალური გეგმის ჩათვლით, ნიშნულები და ტიპური განივი კვეთი ხიდის საფარზე, შესაბამისი ზომებით. აღნიშნულ ნახაზებში აუცილებელია ასახული იყოს ხიდზე შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა. ასევე საჭიროა სამუშაოების დეტალური ნახაზების წარმოდგენა სატანადო მასშტაბებით;
- ხიდის საფუძვლის, ბურჯების, საყრდენების დეტალური ნახაზები, არმირების, ჩასატანებელი ნაწილების, ფოლადის კონსტრუქციების და სხვა კონსტრუქციული ელემენტების ასახვით;
- საყრდენი კედლების, დიაფრაგმების, მდინარის კალაპოტის რეგულირების და ფერდობების სტაბილიზაციის ზომები ღონისძიებების ნახაზები;
- გზის გეგმა და პროფილების ნახაზები;
- გზისპირა დრენაჟის გეგმები და პროფილები და მიწისქვეშა დრენაჟის ნახაზები და დაბინძურების მაკონტროლებელი ზომები;
- გზის განივი კვეთები 20 მ ინტერვალებით (ან უფრო ხშირი ინტერვალებით, საჭიროების შემთხვევაში);
- გზის ტიპური კვეთები და დეტალები;
- ძირითადი მილხიდების ნახაზები, გეგმების, სიმაღლის ნიშნულების და ტიპური განივი კვეთების ჩათვლით, ზედა ბიეფის და ქვემო ბიეფის ნიშნულების და სხვა დეტალების მითითებით, შესაბამისი მასშტაბებით;
- სტანდარტული ნახაზი განათებისთვის და ხიდის ხელოვნული განათებისთვის;
- სტანდარტული ნახაზები მიერთებების, გადასასვლელების, შემოვლითი გზების და შესასვლელებისთვის;
- სტანდარტული ნახაზები გზის მონიშვნის, ნიშნების, დამცავი შემოღობვის და სხვა გზასთან დაკავშირებული ელემენტებისათვის;
- გეგმა-გრაფიკები;
- განსხვავების ზოლის გეგმა;

- კომუნიკაციების გადატანის გეგმები;
- სხვადასხვა ნახაზები.

დ. მიწის შეძენის და განსახლების გეგმის (LARP) მომზადება

33. კონსულტანტი მოამზადებს განსახორციელებლად მიწის შეძენის და განსახლების გეგმას, აგბ-ს განახლებული უსაფრთხოების პოლიტიკის (2009 წ.), საქართველოს ურბანული ტრანსპორტის პროგრამის განახლებული გარემოს შეფასების და შესწავლის სტრუქტურის და საქართველოს შესაბამისი კანონის/რეგულაციის შესაბამისად. დავალების განხორციელების მიზნით, კონსულტანტი ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი კვლევითი ექსპერტიზა:

- სათანადო რაოდენობით დაკომპლექტებული/კომპეტენციით აღჭურვილი მკვლევართა ჯგუფი განახორციელებს საჭირო კვლევებს; და
- დამტკიცებული თანხების შემფასებელი შეაფასებს დაზიანებული ნაწილების საბაზრო ფასს/მათი შეცვლის ღირებულებას.

34. მიწის შეძენის და განსახლების გეგმა დაფუძნებული იქნება ხიდის საბოლოო პროექტზე, უზრუნველყოფს საბოლოო კომპენსაციის ბიუჯეტებს, შემდეგი საკითხებით გათვალისწინებით:

- კომპენსაციის დასახელებების და უფლებამოსილების დოკუმენტების განსაზღვრა, განახლებული გარემოს შეფასების და შესწავლის სტრუქტურის შესაბამისად; აგბ-სა და მთავრობისთვის მისაღები მიწის პრივატიზაციის/ლეგალიზაციის სქემის დამუშავება (საჭიროების შემთხვევაში).
- ყველა სახის ზეგავლენის დეტალური შესწავლა/გაზომვია;
- დაზარალებული ოჯახების და დაზარალებული ადამიანების აღწერა, პოტენციურად დაზარალებული და მეტად დაზარალებული ოჯახების და ადამიანების იდენტიფიცირებით, გენდერული და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით;
- დაზარალებული მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური აღწერა, დაზარალებული ოჯახების 50%-ის მონაცემების საფუძველზე;
- დაზიანებული აქტივების საბაზრო ფასების/შეცვლის ღირებულების სრული შესწავლა;
- მიწის შეძენის და განსახლების გეგმის განხორციელების და მიწის პრივატიზაციის (იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება მიწის ნაკვეთის პრივატიზაცია) გაწერილი სამოქმედო გეგმა;
- ინტენსიური საინფორმაციო და საკონსულტაციო კამპანია დაზარალებულ ოჯახებთან, შესაბამის ტერიტორიაზე შეხვედრების ჩატარებით და საინფორმაციო მასალების გავრცელებით, რომელიც მომზადდება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- პრეტენზიების და უკმაყოფილების მექანიზმის შემუშავება, გარემოს შეფასების და შესწავლის სტრუქტურის შესაბამისად, რაც მისაღები იქნება აგბ-სა და მთავრობისათვის.

35. კონსულტანტი მოამზადებს მიწის შეძენის და განსახლების გეგმის სამუშაო ვერსიას ინგლისურ და ქართულ ენებზე. კონსულტანტი საჭიროებისამებრ დაეხმარება პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას მიწის შეძენის და განსახლების გეგმის და საინფორმაციო ბროშურების გავრცელებასა და შესაბამისი პერსონალის ტრენინგში.

#### ე. გარემოსდაცვითი დოკუმენტების მომზადება

36. კონსულტანტი შეისწავლის მდინარე არაგვზე ხიდის პროექტისთვის მომზადებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლას. აღნიშნული დავალება ითვალისწინებს საბოლოო ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, გარემოსდაცვითი სოციალური და სხვა დოკუმენტების მომზადებას. კონსულტანტი ვალდებულია მოამზადოს გარემოზე ზემოქმედების შეფასება საქართველოს მთავრობასა და აგბ-ს შორის შეთანხმებული, აგბ-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის და გარემოსდაცვითი შეფასების და შესწავლის ჩარჩო-დოკუმენტის (EARF) შესაბამისად.

37. კონსულტანტის ძირითადი ვალდებულებებია:

- (i) გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადება აგბ-ს უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (SPS, 2009 წ.) შესაბამისად;
- (ii) განახლებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების წარმოდგენა მგფ-ს და აგბ-სათვის, განხილვისა და დამტკიცებისთვის;
- (iii) კონსულტაციის და დახმარების გაწევა მგფ-ში და პროექტის მონაწილე მუნიციპალიტეტში ცენტრალიზებული განსახლების/სოციალური მენეჯმენტის სისტემის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, განსახლების და სხვა ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, როგორცაა გენდერული ასპექტები;
- (iv) დახმარების გაწევა საჭიროებისამებრ, საპროექტო ტერიტორიის კონკრეტული გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) განხორციელებაში;
- (v) სხვა პროცედურები, საჭიროების შემთხვევაში.

#### ვ. ტექნიკური სპეციფიკაციების, ხარჯთაღრიცხვების და სატენდერო დოკუმენტების მომზადება

38. კონსულტანტი, სხვადასხვა შესაძლო შესყიდვების სტრატეგიის საფუძველზე შესთავაზებს მგფ-ს მაქსიმალური სარგებელის მიღებას ღირებულების, დროის, რისკების და ხარისხის თვალსაზრისით. მგფ შემდეგ გასცემს რეკომენდაციას განსახორციელებელი სამუშაოების და მომსახურების შესაბამის პაკეტთან დაკავშირებით და მოამზადებს სათანადო სატენდერო დოკუმენტაციას.

39. კონსულტანტი მოამზადებს სატენდერო დოკუმენტებს კონსულტანტი ინჟინრების საერთაშორისო ფედერაციის (FIDIC) ფარგლებში, დამკვეთის (მრავალმხრვი განვითარების ბანკის შეთანხმებული გამოცემა, 2006 წლის მარტი) მიერ დაპროექტებული მშენებლობის და საინჟინრო სამუშაოების კონტრაქტის პირობების შესაბამისად. აღნიშნულ

დოკუმენტებში ასევე გათვალისწინებული იქნება აგბ-ს სახელმძღვანელო პრინციპები, რაც აისახება გაფორმებული სასესიო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებში, რასაც დაამტკიცებს მგფ და აღნიშნული შევა დეტალურ ტექნიკურ სპეციფიკაციებში, ხარჯთაღრიცხვებში, ნახაზებსა და ინფორმაციაში, რომელიც არ წარმოადგენს კონტრაქტის ნაწილს; აღნიშნული წარმოდგენილი იქნება შემდეგი სახით:

- ტექნიკური სპეციფიკაციები - ტექნიკური სპეციფიკაციები ასახავს განსახორციელებელ სამუშაოებს, ან შესაძენ მასალებს, ნახაზებსა და გეგმებზე წარმოდგენილი ინფორმაციის განმარტების მიზნით. ტექნიკური სპეციფიკაციები ასევე აღწერს სამუშაოების განხორციელების დეტალებს, შესაბამის კალენდარულ გეგმებთან და დაზღვევასთან, ნებართვებთან, ლიცენზიებსა და სხვა განსაკუთრებულ პროცედურებთან თუ მოთხოვნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. სპეციფიკაციები ასევე მოიცავს კონტრაქტის ტექნიკური აღჭურვილობის საკითხს და კონტრაქტთან დაკავშირებულ არა-ტექნიკურ საკითხებსაც. აღჭურვილობის ორი ტიპი ცალ-ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი, ერთი - ზოგადი ტექნიკური საჭიროებების, მეორე - ტექნიკური სპეციფიკაციების სახით. ზოგად ტექნიკურ საჭიროებებში შევა მოცემული სამუშაოების/კონტრაქტის მიხედვით, მიმდინარე სამუშაოების მდგომარეობის, პროცედურების, უსაფრთხოების, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების და პრევენციის, საპროექტო ტერიტორიაზე მისვლის, ცალკე განსაზღვრულ მოთხოვნებთან და სხვა დეტალებთან დაკავშირებული ინდივიდუალური მახასიათებლები. ტექნიკური სპეციფიკაციები მთლიანად აღწერით ხასითს ატარებს და მოიცავს შემდეგ საკითხებს, მაგრამ მხოლოდ აღნიშნულით არ არის შეზღუდული: (i) მასალების სტანდარტები; (ii) პროფესიული საქმიანობის სტანდარტები და პროცედურები; (iii) საწარმოო/ქარხნული შემოწმებები და სხვა სახის აუცილებელი შემოწმებები; (iv) წინა-საექსპლოატაციო და საექსპლოატაციო დეტალები. დაუშვებელია ბრენდული სახელების, კატალოგების ნომრების და სხვა დეტალების მითითება, რათა თავიდან იქნას აცილებული კონკრეტული მწარმოებლის მასალებისა, თუ სხვ. შეზღუდვა. ტექნიკური სპეციფიკაციები დაფუძნებული იქნება თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე მოქმედ ევროპულ სტანდარტებზე, რომელიც შეიცვალა განსაკუთრებული დებულებებით, საქართველოში არსებული პირობების და პროექტის საჭიროებების შესაბამისად. კონსულტანტი ვალდებულია სტანდარტები წარუდგინოს დამკვეთს დასამტკიცებლად. ტექნიკური სპეციფიკაციები ასევე მოიცავს განსახორციელებელი სამუშაოების (გადახდების) აღწერილობასა და ჩამონათვალს.
- სამუშაოთა მოცულობების და ხარჯთაღრიცხვები - კონსულტანტი ვალდებულია მოამზადოს სამუშაოთა მოცულობების სპეციფიკაციები სხვადასხვა კატეგორიის განსახორციელებელი სამუშაოების საფუძველზე, ნახაზებისა და ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად. აღნიშნულ სამუშაოთა მოცულობების სპეციფიკაციებში წარმოდგენილი უნდა იყოს საკმარისი ინფორმაცია შესაძენი მასალების და განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობების შესახებ, იმისთვის, რომ (i) კონკურსის მონაწილეებმა წარმოადგინონ ფასთა ზუსტი კოტირება და (ii) დამკვეთმა და კონტრაქტორებმა პერიოდულად შეძლონ განხორციელებული სამუშაოების მოცულობების შეფასება. სამუშაოთა მოცულობების სპეციფიკაციებში კლასიფიცირებული უნდა იყოს "მასალები" და

”სამუშაოები”. ”მასალების” კატეგორიაში შევა ყველა საჭირო აღჭურვილობა, აგრეგატები და სხვა მოსაწოდებელი მასალები; ”სამუშაოებში” შევა ისეთი პარაგრაფები, როგორცაა მიწის სამუშაოები/გრუნტის ამოღება, ბეტონის სამუშაოები, მილების ჩაწყოების სამუშაოები, სამონტაჟო სამუშაოები და სხვ. სამუშაოთა მოცულობების სპეციფიკაციებში წარმოდგენილი პარაგრაფები აუცილებელია შესაბამისობაში იყოს ტექნიკურ სპეციფიკაციებში ჩამოყალიბებულ სამუშაოების (გადახდის) პარაგრაფებთან.

- კონსულტანტი ვალდებულია შეადგინოს კონფიდენციალური ერთეულის ფასის ანალიზი, სამუშაოების თითოეული პარაგრაფისთვის და კონფიდენციალური ხარჯთაღრიცხვა თითოეული სამუშაოების პარაგრაფისთვის, სამუშაოების კატეგორიისთვის და მთლიანად კონტრაქტისათვის. ერთეულის ფასების კლასიფიკაცია მოხდება პირდაპირი ხარჯების (შრომითი ღირებულება, მასალების და აღჭურვილობის ღირებულება), არაპირდაპირი ხარჯების (მობილიზაციის, საველე და ზოგადი ზედანადების, კონტრაქტორის გაუთვალისწინებელი ხარჯების და სარგებელის) და გადასახადების მიხედვით. კონსულტანტი ვალდებულია მოამზადოს ”ხარჯთაღრიცხვა ტექნიკურ დონეზე”. საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე, ხარჯთაღრიცხვა განიხილება დამკვეთთან.

40. კონსულტანტი ვალდებულია მოამზადოს დეტალური ტექნიკური პროექტი, მგფ-ს მეშვეობით წარუდგინოს დასამტკიცებლად მცხეთის მუნიციპალიტეტს და საგზაო დეპარტამენტს და საჭიროების შემთხვევაში, პროექტის განხორციელებამდე შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ტექნიკურ პროექტში. კვლევების და შემოწმებების განხორციელების პროცესში სასურველია კონსულტაციები მცხეთის მუნიციპალიტეტის და საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და კვლევის შედეგების მათთან განხილვა.
41. სანტედერო პერიოდის განმავლობაში, კონსულტანტი შეაგროვებს კონკურსის მონაწილეებისგან მიღებულ ყველა შეკითხვას, მოამზადებს შესაბამის პასუხებს მგფ-სთან კოორდინაციის საფუძველზე და მოაწიებს საველე ვიზიტს კონკურსის მონაწილეებისთვის.

**ზ. კონსულტანტი ვალდებულია:**

- დეტალური პროექტი წარუდგინოს შესათანხმებლად დამკვეთს და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები პროექტში;
- პროექტის აგბ-ში განხილვის და ექსპერტიზის პერიოდში კონსულტანტი ვალდებულია გასცეს დასაბუთებული პასუხები შენიშვნებზე და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს სათანადო ცვლილებები პროექტში;
- მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტაცია (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები) და ითანამშრომლოს დამკვეთთან პროექტის განხორციელებაზე მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

თ. პროექტის განხორციელების სავარაუდო გრაფიკი

42. პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა და ეტაპები:

პირველ ეტაპი \_ საპროექტო ჯგუფის მობილიზაცია, საველე კვლევის ანგარიშების და საბოლოო ვიზუალური ვერსიის წარმოდგენს - 2012 წლის 25 მაისს

მეორე ეტაპი \_ დეტალური პროექტის სამუშაო ვერსიის წარმოდგენს - 2012 წლის 25 ივლისს

მესამე ეტაპი \_ პროექტზე ექსპერტიზის დასკვნის მიღება

თ. კადრების დაკომპლექტება (სავარაუდო ძირითადი შტატი)

No	კონსულტანტი	რაოდ.	თვე	სულ კაც.თვე
1	ხიდების მთავარი სპეციალისტი (ინჟინერი). ჯგუფის უფროსი	1	4	4
2	კონსტრუქტორი/ხიდის ინჟინერი	2	4	8
3	გზის/გზის საფარის ინჟინერი	1	3	3
4	ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი	1	3	3
5	ინჟინერ-გეოლოგი/ჰიდროგეოლოგი	2	2	4
6	ჰიდროლოგი	1	2	2
7	გეოდეზისტი	2	2	4
8	გზის უსაფრთხოების სპეციალისტი	1	2	2
9	არქიტექტორი	1	3	3
10	ელექტრიკოსი / გარე განათების სპეციალისტი	1	2	2
11	CAD-ის სპეციალისტი	2	4	8
12	ხარჯთაღმრიცხველი	1	2	2
13	გარემოს დაცვის სპეციალისტი	1	3	3
14	განსახლების სპეციალისტი	1	2	2
	სულ	18		50

ი. ანგარიშგება

43. კონსულტანტი მოამზადებს ქვემოთ წარმოდგენილ ანგარიშებს ინგლისურ და ქართულ ენებზე (4 ასლი ინგლისურად და 4 - ქართულ ენაზე და აგბ-ში, ინგლისურად მომზადებული ორი ასლი). თითოეული ანგარიშის ფორმატი და შინაარსი აუცილებელია შეთანხმებულ იქნას მგფ-სთან და აგბ-სთან. თითოეული წარმოდგენილი ანგარიშისთვის, მოწოდებული იქნება ელ. ასლები, მათი მომზადებისას გამოყენებული შესაბამისი ლინკების, ფორმულების და სხვ. მითითებით. ყველა ანგარიშში წარმოდგენილი იქნება შემაჯამებელი რეზიუმე.

- (i) საველე ინვენტარიზაცია/კვლევა/საწყისი ანგარიში. აღნიშნული ანგარიში წარმოდგენილ უნდა იქნეს კონტრაქტის დაწყებიდან 3 თვეში და უნდა მოიცავდეს არსებული მონაცემების, საველე საინვენტარიზაციო და საკვლევი სამუშაოების შედეგებს. ანგარიშში ასევე მოცემული უნდა იყოს ხიდის კონსტრუქციის და განლაგების საბოლოო ვარიანტის ვიზუალიზაცია (გეგმები,

ძირითადი ჭრილები, 3D ფორმატი), რომელიც მგფ-ს მეშვეობით შეთანხმდება მცხეთის მუნიციპალიტეტთან და საგზაო დეპარტამენტთან.

- (ii) დეტალური პროექტის სამუშაო ვერსია - კონტრაქტის გაფორმებიდან 4 თვის განმავლობაში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური პროექტი და სატენდერო დოკუმენტაცია (სამუშაოთა მოცულობები, ტექნიკური სპეციფიკაციები, ხარჯთაღრიცხვები, ნახაზები და სხვ.), ასევე გარემოსდაცვითი გეგმისა და გარემოს მართვის გეგმის და მიწის შეძენის და განსახლების გეგმის (LARP) სამუშაო ვერსიები.
- (iii) საბოლოო დეტალური პროექტი, სატენდერო დოკუმენტაცია, გარემოსდაცვითი გეგმა და გარემოს მართვის გეგმა, მიწის შეძენის და განსახლების გეგმა (LARP) - კონტრაქტის გაფორმებიდან 5 თვის განმავლობაში, მგფ-ს, ექსპერტიზის და აგბ-ეს შენიშვნების გათვალისწინებით.
- (iv) დეტალური პროექტის დასრულება - აზიის განვითარების ბანკიდან თანხმობის მიღება სამშენებლო ტენდერის გამოცხადებაზე.

